უნივერსიტეტი კრიზისში: გარე აქტორების პერსპექტივა

გვანცა ძამაშვლი

თამარ არსენაშვილი

მარიამ ჩხეიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე უნაღლესი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

უმაღლესი განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

გვანცა ძამაშვილი

თამარ არსენაშვილი

მარიამ ჩხეიძე

30.06.2025

მადლობა

უმაღლესი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ სამაგისტრო კვლევაზე მომუშავე ჯგუფის წევრები, პირველ რიგში, მადლობას ვუხდით კვლევის ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ელენე ჯიბლაძეს. მისი რჩევები და რეკომენდაციები დაგვეხმარა ნაშრომის სრულყოფასა და გამართვაში.

მადლობას ვუხდით იმ აკადემიურ პერსონალსაც, რომელიც ჩვენი ჯგუფელების ნაშრომებს ხელმძღვანელობდნენ და ინტენსიურად გვიზიარებდნენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას.

ასევე გვსურს მადლიერება გამოვხატოთ კვლევაში მონაწილე სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და გარე აქტორების მიმართ, რომლებმაც საკვლევი საკითხის შესწავლის და განსხვავებული პერსპექტივიდან დანახვის შესაძლებლობა მოგვცეს.

ბოლოს კი მადლობას ვუხდით განათლების სკოლისა თუ ზოგადად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა იმ წარმომადგენელს, რომლებიც ჩართული იყვნენ კვლევისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის, კონფერენციის ორგანიზების პროცესში.

სარჩევი

აბსტრაქტი 1

Abstract 2

შესავალი 3

ლიტერატურის მიმოხილვა 7

უნივერსიტეტი 9

კრიზისი 11

თეორიული ჩარჩო 17

აზრის შექმნის თეორია 17

აზრის შექმნის პროცესის ძირითადი მახასიათებლები 19

აქტორ-ქსელების თეორია 23

საკვლევი პრობლემა, კვლევის მიზანი და სავლევი კითხვები 28

კვლევის მეთოდოლოგია 29

პრაქტიკის კვლევა 29

მონაცემთა შეგროვების მეთოდები 35

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა ორ ეტაპად: 36

მონაწილეთა შერჩევა 37

კვლევის პროცესი 38

დიაგნოსტიკური კვლევის ეტაპი და შედეგების აღწერა 39

ქვეყანაში არსებული ვითარების აღქმა გარე აქტორების პერსპექტივიდან 41

უნივერსიტეტის იდეა და მისი როლი საზოგადოებაში გარე აქტორების პერსპექტივიდან 45
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შესრულებული როლი მიმდინარე ვითარებაში 49
შიდა აქტორთა პოზიციების შეფასება და შეხედულებათა გავლენა გარე აქტორთა პერსპექტივიდან 52
უნივერსიტეტის არსებულ ვითარებაში ყოფნის გამომწვევი მიზეზები 55
განხილვები აქტორთა შორის 56
აქტორთა გავლენის მოხდენის შესაძლებლობა და აქტიური/პასიური ჯგუფები გარე აქტორების პერსპექტივიდან 58
გარე აქტორების შეხედულება საკუთარ როლზე 60
არსებული საკომუნიკაციო სივრცეები 63
გარე აქტორთა რეკომენდაციები განათლების სკოლის ქსელს/ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს 66
ინტერვენციები და მათი განხოციელების შეფასება 70
კონტექსტი და მიზნები 72
კვლევის შეზღუდვები 75
რეკომენდაციები და სამომავლო კვლევის საჭიროებები 77
დასკვნა 78
გამოყენებული ლიტერატურა 80
დანართები 83

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის როლის კვლევა განათლების სკოლის აქტორების პერსპექტივიდან მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისის ფონზე, სკოლის გარე საზოგადოებრივად აქტიური პირების პერსპექტივიდან. კვლევა ემყარება პრაქტიკის კვლევის (action research) ჩარჩოს და მიზნად ისახავს გააანალიზოს, როგორ ხდება უნივერსიტეტის როლის შესახებ აზრის ფორმირება გაურკვევლობის პირობებში და როგორ რეაგირებს საუნივერსიტეტო სივრცე კრიზისზე. თეორიულად კვლევა ეფუძნება აზრის შექმნის (sensemaking) და აქტორ-ქსელების (Actor-Network Theory) თეორიებს, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა ანალიზში გავითვალისწინოთ როგორც ადამიანური, ისე არაადამიანური აქტორების როლი. კვლევითი პროექტი გარე აქტორებთან ერთად ითვალისწინებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის შიდა აქტორების პერსპექტივების შესწავლასა და გაანალიზებას. შიდა აქტორებში კი იგულისხმებიან განათლების სკოლის ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები.

მიმდინარე კვლევის დიზაინს წარმოადგენს პრაქტიკის კვლევა და მოიცავს დიაგნოსტირების, ინტერვენციის, დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებს. დიაგნოსტირებისა და ინტერვენციების ფარგლებში ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები, ინტერვიუები, ჯგუფური შეხვედრები და პანელური დისკუსია კონფერენციის ფორმატში. კვლევის მიგნებები აჩვენებს, რომ კვლევაში მონაწილე აქტორთა მიერ უნივერსიტეტი აღიქმება როგორც წინააღმდეგობებით სავსე სივრცე, სადაც კოორდინაციის, ღირებულებების გაზიარებისა და თანაზიარობის კრიზისი იგრძნობა. განსაკუთრებით მკაფიოა სტუდენტური პასიურობის, კომუნიკაციის ნაკლებობისა და უნივერსიტეტის ფუნქციის ბუნდოვანების საკითხები. კვლევა ასახავს, რომ რეფლექსიური სივრცეების შექმნა და აზრთა გაცვლის ხელშეწყობა აუცილებელია ცვლილებაზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს განვითარებისათვის.

Abstract

The aim of this study was to explore the role of Ilia State University from the perspective of actors affiliated with the School of Education, against the backdrop of the ongoing socio-political crisis, particularly focusing on the viewpoints of socially engaged external stakeholders. Grounded in an action research framework, the study seeks to analyze how perceptions regarding the university's role are formed under conditions of uncertainty and how the academic space responds to crisis.

The theoretical foundation of the research draws on Sensemaking theory and Actor-Network Theory, both of which enable the analysis to account for the roles of both human and non-human actors. In addition to external actors, the study also incorporates and analyzes the perspectives of internal stakeholders within Ilia State University's School of Education. These internal stakeholders include administrative and academic personnel, as well as students.

The research design is based on the principles of action research and encompasses the stages of diagnosis, intervention, planning, and implementation. As part of the diagnostic and intervention phases, the research employed focus groups, interviews, group meetings, and a panel discussion organized in a conference format.

The findings indicate that participants perceive the university as a space fraught with contradictions, marked by a crisis in coordination, value-sharing, and collective engagement. Particularly salient issues include student disengagement, lack of effective communication, and ambiguity surrounding the university's role. The research highlights the necessity of fostering reflexive spaces and encouraging the exchange of ideas as essential conditions for developing a university environment oriented toward meaningful change.